

2011-2012 წელს ჩატარებული რესპუბლიკური ოლიმპიადა „ლინგვა“-ს
დაჯილდოების ცერემონიალი



2012 წლის 15 ივნისს, ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა ევროპული ენების ინსტიტუტის 2011-2012 სასწავლო წლებში ჩატარებული რესპუბლიკური ოლიმპიადა „ლინგვა“-ს გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიალი.

რესპუბლიკური ოლიმპიადა „ლინგვა“ ჩატარდა ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ და რუსულ ენებში და მასში მონაწილეობა მიიღეს მე-3 დან მე-12-ე კლასის მოსწავლეებმა.

დაჯილდოების ცერემონიაზე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ევროპული ენების ინსტიტუტის დირექტორი ბ-ნი ჰარალდ ჰორნუნგი.

გერმანიის აკადემიური გაცვლითი სამსახურის ხელმძღვანელმა საქართველოში ქ-ნ დოქტ. ელიზაბედ ფენორმა მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია გაცვლითი პროგრამებისა და სტიპენდიების შესახებ.

დაჯილდოებას ესწრებოდნენ რესპუბლიკური ოლიმპიადა „ლინგვა“-ს გამარჯვებულები, მათი მშობლები, სკოლის დირექტორები და მასწავლებლები. ასევე სართაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები.

დაჯილდოების ცერემონიაზე ფასიანი პრიზები და სერტიფიკატები გადაეცათ გამარჯვებულებს, ევროპული ენების ინსტიტუტის სერტიფიკატი გადაეცა წლის საუკეთესო ათეულს, ასევე გამარჯვებულ მონაწილეთა სკოლის დირექტორებსა და მასწავლებლებს.

ევროპული ენების ინსტიტუტი ულოცავს მონაწილეებს და მათ მშობლებს გამარჯვებას და უსურვებს შემდგომ წარმატებებს.

განსაკუთრებით დიდი მადლობა მოსწავლეთა აქტიურობისა და წარმატებული შედეგებისთვის ოლიმპიადის საორგანიზაციო ჯგუფისგან გვინდა გადავუხადოთ სკოლების დირექციასა და მასწავლებლებს.